

სსიპ - საზოგადოებრივი კოლეჯის „მერმისი“ განვითარების გრძელვადიანი (ექვსწლიანი)  
სამოქმედო გეგმა  
2015 – 2021 წლები

ქ. თბილისი

2015 წელი

## სარჩევი

1. შესავალი
2. სამოქმედო გეგმის მიზნები და ამოცანები
3. სიტუაციური ანალიზი
4. გარემოს ანალიზი
5. ძირითადი გამოწვევები
6. სტრატეგიული მიმართულებები
7. კოლეჯის განვითარების და საქმიანობის ძლიერი და სუსტი მხარეების ანალიზი

## 1. შესავალი

ქვეყანაში შექმნილი სოციალურ-ეკონომიკური განვითარების პირობებში განსაკუთრებით გამოიკვეთა მოსახლეობის დასაქმების ხელშეწყობისა და შრომის ბაზარზე ცოდნასა და უნარ-ჩვევებზე მუდმივად ცვლადი მოთხოვნების დაკმაყოფილებისათვის, პროფესიული განათლების როლი და მნიშვნელობა.

სსიპ - საზოგადოებრივი კოლეჯის „მერმისი“ განვითარების გრძელვადიანი გეგმა კოლეჯის მუშაობის განმსაზღვრელი ძირითადი დოკუმენტია და მიზნად ისახავს:

- ა) ერთიანი პროფესიულ - საგანმანათლებლო სივრცის შექმნის ხელშეწყობა, მთელი სიცოცხლის განმავლობაში პირის მიერ სწავლის შესაძლებლობის, სწავლების მრავალსაფეხურიანობისა და მრავალფეროვნობის გათვალისწინებით;
- ბ) პირის პროფესიული განვითარების ხელშეწყობა;
- გ) შრომის ბაზარზე ორიენტირებული, კონკურენტუნარიანი, კვალიფიციური კადრების მომზადების უზრუნველყოფა;
- დ) ინდივიდის დასაქმების ხელშეწყობა;
- ე) პროფესიული განათლების სფეროში სასწავლო - სამეწარმეო პარტნიორობის სისტემის შექმნა, პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების დაგეგმვისა და განხორციელების პროცესში შესაბამისი დარგის დამსაქმებლების მონაწილეობის ხელშეწყობა.
- ვ) ინკლუზიური განათლების დანერგვის ხელშეწყობა

კოლეჯის განვითარების გრძელვადიანი სამოქმედო გეგმის განხორციელება შესაძლებელია დაინტერესებული პირების, საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს, სსიპ განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის, საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროს, ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოების, დამსაქმებლების, სოციალური პარტნიორების, საჯარო სკოლების, დონორი ორგანიზაციების, არასამთავრობო ორგანიზაციების, საქართველოს დამსაქმებელთა ასოციაციის, ზრდასრულთა განათლების ასოციაციის, განსაკუთრებული საჭიროებების მქონე ბავშვთა დაწესებულებების ერთობლივი და პარტნიორული მუშაობით.

## 2. განვითარების გრძელვადიანი სამოქმედო გეგმის მიზანი და ამოცანები

კოლეჯის განვითარების გრძელვადიანი სამოქმედო გეგმის (ექვსწლიანი - 2015 – 2021 წლები) მიზანია:

- ა) მაღალკვალიფიციური, დასაქმების და თვითდასაქმების უნარების მქონე სპეციალისტების შეთავაზება შრომის ბაზრისთვის, რათა დაკმაყოფილდეს შრომის ბაზრის მოკლე, საშუალო და გრძელვადიანი მოთხოვნები და გაიზარდოს სოციალურად დაუცველი ფენების ჩართულობა ქვეყნის ეკონომიკურ განვითარების პროცესებში.
- ბ) ინკლუზიური განათლების დანერგვა, რაც შესაძლებელს გახდის შეზღუდული შესაძლებლობების მქონე პირების ჩართვას პროფესიული სწავლების პროცესში და ხელს შეუწყობს მათ ინტეგრირებას საზოგადოებაში;
- გ) პროფესიული პროგრამების შემუშავება (მათ შორის ჩარჩო დოკუმენტის საფუძველზე შექმნილი პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამები) შეზღუდული შესაძლებლობების მქონე პირთა უნარების გათვალისწინებით და პერსპექტივის დასახვა მათი პიროვნული თვითრეალიზების საქმეში;
- დ) სოციალური პარტნიორობის სისტემის ჩამოყალიბება და გააქტიურება, მეწარმეების, სტუდენტთა მშობლების, სტუდენტების და სხვა დაინტერესებულ პირების კოლეჯის მართვის და ეფექტური გადაწყვეტილებების მიღების პროცესში ჩართულობის მიზნით;
- ე) კოლეჯის ინფრასტრუქტურის გამტარუნარიანობის გაზრდა, მოსახლეობისგაზრდილი საგანმანათლებლო მოთხოვნების დასაკმაყოფილებლად.

## 3. სიტუაციური ანალიზი

კოლეჯი მდებარეობს ქალაქ თბილისში, ნაძალადევის რაიონში. კოლეჯის საგანმანათლებლო მომსახურებით ტრადიციულად სარგებლობს მცხეთა-მთიანეთის რეგიონის მოსახლეობის დიდი ნაწილი.

სსიპ - საზოგადოებრივი კოლეჯი „მერმისი“ წარმოადგენს ქალაქ თბილისსა და მცხეთის რაიონში მდებარე 45 პროფესიული სასწავლებლის სამართალმემკვიდრეს და უფლებამონაცვლეს, მათ შორის უკანასკნელი ოთხი წლის განმავლობაში (2010-2014 წწ.) რეორგანიზაცია-ლიკვიდაციის გზით შემოუერთდა 5 პროფესიული სასწავლებელი. კერძოდ:

2010 წლის დეკემბერი - კოლეჯი გახდა წინამძღვრიანთკარის პროფესიული კოლეჯის უფლებამონაცვლე;

2011 წლის დეკემბერი - კოლეჯი გახდა სსიპ პროფესიული კოლეჯი „ბალავარი“-ს უფლებამონაცვლე;

2012 წლის თებერვალი - კოლეჯს შეუერთდა სსიპ პროფესიული კოლეჯი „მარგი“;

2012 წლის ივლისი - კოლეჯს შეუერთდა სსიპ პროფესიული კოლეჯი „პროფესიონალი“;

2014 წლის ივნისი - კოლეჯი გახდა სსიპ პროფესიული კოლეჯი „მერმისის“ უფლებამონაცვლე.

რეორგანიზაცია/ლიკვიდაციის შედეგად სსიპ საზოგადოებრივ კოლეჯი „მერმისი“ დაკომპლექტდა მაღალკვალიფიციური კადრებით.

კოლეჯი ორი წელია ახორციელებს პირველი ხუთი საფეხურის პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამებს: ინჟინერიის, ხელოვნების, ბიზნესის ადმინისტრირებისა, ტურიზმის და აგრარული მიმართულებით. კოლეჯს აქვს განვითარების დიდი პოტენციალი, რასაც ხელს უწყობს კოლეჯის თანამედროვე ინფრასტრუქტურა, საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს მხარდაჭერა, სტანდარტებისა და პროგრამების განვითარება, ასევე ხელმძღვანელთა და პედაგოგთა ცოდნის და უნარ-ჩვევების განვითარებისთვის გაწეული ღონისძიებები.

დღევანდელი მდგომარეობით კოლეჯში დასაქმებულია 107 თანამშრომელი, მათ შორის დირექცია 2, ადმინისტრაცია 21, დამხმარე და მომსახურე პერსონალი 18, პედაგოგი 66.

### ➤ მატერიალურ-ტექნიკური მდგომარეობა

კოლეჯს ბალანსზე ერიცხება და სახელმწიფოსგან სარგებლობის უფლებით გადმოცემული აქვს შენობა-ნაგებობები 3 სხვადასხვა მისამართზე.

1. ქ. თბილისი გურამიშვილის გამზირი 72ბ
2. ქ. თბილისი გრიგოლ რობაქიძის გამზირი #7a
3. ქ. თბილისი, სარაჯიშვილის გამზირი N108

კოლეჯის იურიდიული მისამართი აქვს და საგანმანათლებლო საქმიანობას ეწევა გურამიშვილის გამზირი N72/ბ-ში.

შენობა აღჭურვილია სასწავლო პროცესისათვის აუცილებელი თანამედროვე ინვენტარით და ტექნიკური საშუალებებით. ყველა ოთახი ჩართულია ინტერნეტ ქსელში, მათ შორის სამასწავლებლო, საკონფერენციო დარბაზი და ბიბლიოთეკა. საინფორმაციო ტექნოლოგიებს კოლეჯი იყენებს კოლეჯის მართვის პროცესში და საგანმანათლებლო საქმიანობაში.

კოლეჯის სასწავლო კორპუსი მოიცავს 9 სალექციო აუდიტორიას, 18 სასწავლო სახელოსნოს (პოლიგრაფიული მრეწველობის ტექნიკოსის სასწავლო სახელოსნო განთავსებულია რობაქიძის გამზ. 7ა-ში), 34 პროგრამის შესაბამისი ინფრასტრუქტურით. დაცულია ხანძარსააწინააღმდეგო უსაფრთხოების, წესრიგის დაცვის, სამედიცინო დახმარების აღმოჩენისათვის აუცილებელი მოთხოვნები და ჰიგიენის ნორმები. სასწავლო კორპუსი და მისი გარე პერიმეტრი კონტროლდება ვიდეოსათვალითვალო სისტემით.

#### 4. გარემოს ანალიზი (2015–2021 წწ)

ცვლილებები	ზეგავლენა კოლეჯის საქმიანობაზე	
	დადებითი	ნეგატიური
ქვეყნის ეკონომიკური განვითარების პროგრამების განხორციელება		კადრების მომზადება/გადამზადების პროცესში კოლეჯის შესაძლებლობების გაუთვალისწინებლობა
საერთაშორისო ურთიერთობების გააქტიურება	<ol style="list-style-type: none"> <li>1. პროფესიული განათლების ხარისხის ამაღლება</li> <li>2. საერთაშორისო ორგანიზაციებთან ურთიერთობის პრაქტიკის ჩამოყალიბება</li> <li>3. დონორი ორგანიზაციების დაინტერესება პროფესიული განათლებით</li> <li>4. გაცვლით პროგრამებში მონაწილეობა</li> <li>5. ევროპული გამოცდილების გაზიარება</li> </ol>	
შრომის ბაზარზე მიმდინარე ცვლილებები	<ol style="list-style-type: none"> <li>1. სამუშაო ადგილების გაზრდა</li> <li>2. დასაქმების შესაძლებლობების გაზრდა</li> </ol>	<ol style="list-style-type: none"> <li>1. სამუშაო ადგილების შემცირება</li> <li>2. დასაქმების შესაძლებლობების შემცირება</li> </ol>
საგადასახადო კანონმდებლობის შეცვლა	1. კურსდამთავრებულთათვის საკუთარი სამეწარმეო საქმიანობის წამოწყების გამარტივება	
საინფორმაციო ტექნოლოგიების აქტიური დანერგვა	<ol style="list-style-type: none"> <li>1. პროფესიულ სწავლებაში საინფორმაციო ტექნოლოგიების გამოყენება</li> <li>2. სწავლები ხარისხის ამაღლება</li> <li>3. კომუნიკაცია საერთაშორისო ურთიერთობის დონეზე</li> </ol>	

<p>პროფესიული განათლების შესახებ კანონში ცვლილებები</p>	<ol style="list-style-type: none"> <li>1. პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულების ახლებურად ფუნქციონირების პირობების ჩამოყალიბება</li> <li>2. საგანმანათლებლო ჩიხის მოხსნა</li> </ol>	<p>1. ასაკობრივი კატეგორიების გაუთვალისწინებლობა საგანმანათლებლო პროგრამების (მათ შორის ჩარჩო დოკუმენტის საფუძველზე შექმნილი პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამები) შექმნისას</p>
<p>სამინისტროს სტრუქტურული ცვლილებები</p>	<ol style="list-style-type: none"> <li>1. მეთოდური დახმარების ორგანოების გამოკვეთა</li> <li>2. საგანმანათლებლო პროგრამების სისტემატიზება</li> <li>3. მეთოდური დასასწავლო სახელმძღვანელოების შექმნა</li> </ol>	<p>1. ხშირი ცვლილებები აფერხებს რეფორმის ეფექტიანობას</p>
<p>მეწარმეობის და მცირე ბიზნესის განვითარება</p>	<ol style="list-style-type: none"> <li>1. პროფესიული და სამეწარმეო განათლების ინტეგრირებული განვითარების შესაძლებლობა</li> <li>2. კურსდამთავრებულთა დასაქმების გაზრდა</li> </ol>	
<p>განათლების და მეცნიერების სამინისტროს პროფესიული მომზადების განვითარების შუალედური სტრატეგიის /2013–2020წლები/ შემუშავება</p>	<p>1. კოლეჯის განვითარების სტრატეგიული დაგეგმვის პირობების შექმნის შესაძლებლობა</p>	

შესაძლებლობები	საფრთხეები
უმუშევრებისა და და დასაქმებული პერსონალის მომზადება–გადამზადების პროგრამების განხორციელება	1.ინფორმაციის უქონლობა 2.საწარმოებთან, დამსაქმებელი ორგანიზაციის დაინტერესების დაბალი დონე და მათთან სუსტი კომუნიკაცია
არასაბიუჯეტო შემოსავლების (ფასიანი სწავლების მოცულობის) გაზრდა	1.ეკონომიკური კრიზისი 2.მოსახლეობის გადახდისუნარიანობის შემცირება 3. შრომისუნარიანი მოსახლეობის მიგრაცია
საერთაშორისო პროგრამებში ჩართვა	რეაბილიტაციის უქონლობა
საპროფორიენტაციო მუშაობის გააქტიურება	სკოლების ინერტულობა ამ კუთხით
სწავლების ხარისხის ამაღლება	1. საგანმანათლებლო პროგრამების ნაკლები ორიენტაცია ახალ ტექნიკასა და ტექნოლოგიებზე 2. სწავლების თანამედროვე მეთოდებში პროფესიულ პედაგოგთა ტრენინგების სისტემის ჩამოუყალიბებლობა
ინკლუზიური და სხვადასხვა რისკ –ჯგუფების პროფესიული განათლების პროგრამების რეალიზაცია	1. საჭირო ფინანსების უქონლობა 2. მეთოდის უქონლობა 3. ინფრასტრუქტურის უქონლობა
კოლეჯის შევსება ახალგაზრდა კადრებით	1. პრაქტიკული გამოცდილების მქონე ახალგაზრდა კადრების ნაკლებობა 2. დაბალი ანაზღაურება
სასწავლო–სამეწარმეოსაქმიანობის რეალიზაცია	შესაბამისი ნორმატიული დოკუმენტების უქონლობა

## 5. ძირითადი გამოწვევები

გარემოსა და შიდა ანალიზი, საკუთარი სუსტი და ძლიერი მხარეების, შესაძლებლობებისა და საფრთხეების გამოკვეთა, საქმიანობის ორიენტაცია შრომის ბაზარზე, ავლენს იმ პრობლემებსა და სუსტ მხარეებს კოლეჯის საქმიანობაში, რომელთა გადალახვა უახლოესი წლების განმავლობაში მისი სიცოცხლისუნარიანობისა და მდგრადობის მიღწევის გარანტიად უნდა იქცეს.

ბოლო წლებში კოლეჯის საქმიანობის ანალიზის საფუძველზე გამოკვეთილია შემდეგი გამოწვევები:



- ჯერ კიდევ არ არის არსებითი ორიენტაცია ადგილობრივ შრომის ბაზარზე, არასაკმარისია კონტაქტები დამსაქმებლებთან, ადგილობრივი დამსაქმებლები ნაკლებად მონაწილეობენ საგანმანათლებლო პროგრამების შემუშავებაში. სირთულეებია საწარმოო ობიექტებზე სტუდენტთა სასწავლო და საწარმოო პრაქტიკის ორგანიზაციაში, სუსტია დამსაქმებელთა როლი კოლეჯის კურსდამთავრებულთა დასაქმებაში. უფრო მეტიც, კოლეჯს ჯერ კიდევ სრულყოფილად არა აქვს შესწავლილი ლოკალური შრომის ბაზრის მოთხოვნები საჭირო პროფესიებზე, თითქმის არ გამოიყენება საწარმოთა პოტენციური ცალკეულ პროფესიებში ახალი ტექნიკისა და ტექნოლოგიების სწავლებაში, პედაგოგები ნაკლებად იცნობენ ახალ საწარმოო ტექნოლოგიებს. ბუნებრივია, ეს გარემოება გავლენას ახდებს პროფესიული სწავლების ხარისხზე და ამცირებს კურსდამთავრებულთა დასაქმების შესაძლებლობებს.
- სუსტია კოლეჯის კავშირი კურსდამთავრებულებთან. არ ხდება ინტენსიური დაკვირვება კურსდამთავრებულთა პროფესიით დასაქმების შემთხვევაში, მის პროფესიულ საქმიანობაზე, რაც უდავოდ ნათელყოფდა სწავლებაში დაშვებულ ხარვეზებს და კარგი შესაძლებლობა იქნებოდა სასწავლო პროცესის ოპტიმიზაციისათვის.
- ჯერ კიდევ საკმაოდ დაბალია კურსდამთავრებულთა დასაქმების მაჩვენებელი.
- ახალი პედაგოგიური მოთხოვნებისა და ახალი ტექნიკისა და ტექნოლოგიების გათვალისწინებით სერიოზული ღონისძიებებია გასატარებელი პედაგოგიური საქმიანობის ეფექტიანობის ასამაღლებლად. ამ საკითხს განსაკუთრებული მნიშვნელობა ენიჭება შეფასების ახალი სისტემების დანერგვის პირობებში.
- მნიშვნელოვანი ხარვეზია პედაგოგთა მიერ პროფესიულ სწავლებაში საინფორმაციო ტექნოლოგიების გამოყენების მხრივ
- მთელი სიცოცხლის მანძილზე სწავლის პრინციპების საფუძველზე ზრდასრულთა პროფესიული სწავლების გასააქტიურებლად, შესასწავლი და დასანერგია ანდრაგოგიკის პრინციპები.
- მთელი სიცოცხლის მანძილზე სწავლების პრინციპების დანერგვა ითხოვს, ასევე, საპროფორიენტაციო და კარიერის დაგეგმვის სამუშაოთა რაციონალურად დაგეგმვას და განხორციელებას, რაც ხელს შეუწყობდა პროფესიული განათლებით მოსახლეობის დაინტერესებას, შექმნიდა კონტინგენტის შერჩევის შესაძლებლობას, აამაღლებდა სტუდენტთა მოტივაციას.
- კოლეჯში ჯერ კიდევ სუსტად ანალიზდება სტუდენტთა მიერ მიღწეული შედეგები. ჯერ კიდევ დაბალია შეფასების მაღალი მაჩვენებლებით კურსდამთავრებულთა რაოდენობა, ამ მაჩვენებლის მიხედვით ნაკლებად ფასდება პედაგოგთა საქმიანობა.
- საკმაოდ მაღალია სტუდენტთა განთესვისა და მეცადინეობების უმიზეზოდ გაცდენის მაჩვენებლები.
- შესავსებია კოლეჯის სასწავლო-მატერიალური ბაზა.

## 6. სტრატეგიული მიმართულებები

ძირითადი გამოწვევების საფუძველზე იკვეთება კოლეჯის განვითარების შემდეგი სტრატეგიული მიმართულებები:

### 1.) ადამიანური რესურსის განვითარება

ამოცანები	აქტივობები
1. თანამშრომელთა კვალიფიკაციის ამაღლება	<ul style="list-style-type: none"> <li>• თანამშრომელთა შერჩევის სისტემის დანერგვა</li> <li>• კვალიფიკაციის ასამაღლებლად საჭირო ღონისძიებების დაგეგმვა</li> <li>• ადამიანურ რესურსებთან მუშაობის გამოცდილების ურთიერთგაზიარება</li> <li>• თანამშრომელთა შრომის ანაზღაურების ზრდის მექანიზმების შემუშავება, შრომითი მიღწევების ხელშეწყობა და აღიარება</li> </ul>
2. ინოვაციების ხელშეწყობა	<ul style="list-style-type: none"> <li>• სასწავლო პროცესში ინოვაციური მიდგომების დანერგვა</li> <li>• სტუდენტებისათვის მაღალი ტექნოლოგიების შეთავაზება</li> </ul>

### 2.) ინფრასტრუქტურის გაუმჯობესება

ამოცანები	აქტივობები
1. სასწავლო-მატერიალური ბაზის განვითარება	<ul style="list-style-type: none"> <li>• „სასურსათო პროდუქტების ეკოლოგიური კონტროლის სპეციალობის“ ლაბორატორიის მოწყობა</li> <li>• სასწავლო აუდიტორიების თანამედროვე დონეზე აღჭურვა</li> <li>• სასწავლო სახელოსნოების მუდმივად განახლება</li> <li>• ბიბლიოთეკის განახლება თანამედროვე სასწავლო, მეთოდური და მხატვრული ლიტერატურით</li> </ul>
2. კოლეჯის გამტარუნარიანობის გაზრდა	<ul style="list-style-type: none"> <li>• სარეაბილიტაციო გეგმის შესასრულებლად სახსრების</li> </ul>

	<p>მოზიდვა</p> <ul style="list-style-type: none"> <li>• კოლეჯის ძირითად შენობაზე დამატებითი ნაგებობის მიშენება (სააქტო დარბაზი, სპორტული დარბაზი, კვების ბლოკი და სხვა)</li> <li>• რობაქიძის N7-შიმდებარე შენობის სარეაბილიტაციო გეგმის შედგენა</li> <li>• სარეაბილიტაციო სამუშაოებში სამშენებლო ჯგუფების სასწავლო პროცესის ინტეგრაცია</li> </ul>
<p>3. პროფესიულ განათლებაში ინკლუზიური განათლების დანერგვისა და განვითარებისათვის იდეალური დიზაინის პრინციპით ინფრასტრუქტურის მოწყობა</p>	<ul style="list-style-type: none"> <li>• კოლეჯის უნივერსალური დიზაინის შესაბამისად მოწყობა</li> <li>• საერთაშორისო სტანდარტების შესაბამისი სანკვანძების მოწყობა შშმპ და სსსმპ -სთვის და სხვა</li> </ul>

### 3.) პროფესიული სწავლების ხარისხის გაუმჯობესება

ამოცანები	აქტივობები
<p>1. საერთაშორისო სტანდარტის შესაბამისი ხარისხის მართვის შიდა სისტემის ამოქმედება</p>	<ul style="list-style-type: none"> <li>• ხარისხის უზრუნველყოფის გაუმჯობესება უწყვეტი ციკლის საფუძველზე: დაგეგმვა, დანერგვა, შეფასება და განახლება</li> <li>• ახალი საგანმანათლებლო პროგრამების დანერგვა (მათ შორის ჩარჩო დოკუმენტის საფუძველზე შექმნილი პროგრამები), მოქმედი საგანმანათლებლო პროგრამების განახლება</li> <li>• საგანმანათლებლო პროგრამის (მათ შორის ჩარჩო დოკუმენტის საფუძველზე შექმნილი) შეფასების კითხვარით დამსაქმებლის გამოკითხვა</li> <li>• დამსაქმებლის მხრიდან სამუშაო ადგილებზე კურსდამთავრებულთა საქმიანობის ანალიზი</li> <li>• კურსდამთავრებულთა გამოკითხვა საგანმანათლებლო პროგრამის (მათ შორის ჩარჩო დოკუმენტის საფუძველზე შექმნილი) შესაბამისობის დადგენის მიზნით</li> <li>• სტუდენტთა შეფასების სხვადასხვა მეთოდების და ფორმების დანერგვა</li> <li>• სტუდენტთა მიღწევების შეფასების შედეგების ანალიზი</li> <li>• სტუდენტთა თვითშეფასების პრაქტიკის დანერგვა</li> </ul>

<p>2. პედაგოგთა მომზადება/გადამზადება და კვალიფიკაციის ამაღლება</p>	<ul style="list-style-type: none"> <li>• პედაგოგთა სამუშაოზე აყვანის კრიტერიუმების განსაზღვრა</li> <li>• პედაგოგთა არსებული პერსონალის კვალიფიკაციის ამაღლების მეთოდების შემუშავება და განხორციელება</li> <li>• ტრენინგები თანამედროვე პედაგოგიკის ადასწავლების მეთოდის საკითხებში და წარმატებული პედაგოგიური საქმიანობის გამოცდილების შესწავლა და გაზიარება</li> <li>• პედაგოგთა სტაჟირება შესაბამისი პროფილის საწარმოებში</li> <li>• ხარისხის უზრუნველყოფის გაუმჯობესება უწყვეტი ციკლის საფუძველზე: დაგეგმვა, დანერგვა, შეფასება და განახლება</li> <li>• პედაგოგთა შეფასების სხვადასხვა მეთოდების და ფორმების დანერგვა</li> <li>• პედაგოგთა მიღწევების შეფასების შედეგების ანალიზი</li> <li>• პედაგოგთა თვითშეფასების პრაქტიკის დანერგვა</li> </ul>
<p>3. კურსდამთავრებულთათვის მეწარმეობის უნარების განვითარება დასაქმებისა და თვითდასაქმების შესაძლებლობების გაზრდისათვის</p>	<ul style="list-style-type: none"> <li>• მეწარმეობის კომპეტენციების გაზრდის მიზნით საგანმანათლებლო პროგრამაში სასწავლო კურსის „სამეწარმეო საქმიანობის საფუძვლების“ პროგრამის მუდმივად სრულყოფა</li> <li>• კონკუსის ჩატარება სტუდენტებს შორის საუკეთესო ბიზნეს-გეგმის შედგენაზე</li> <li>• კარიერის დაგეგმვის ტრენინგების ჩატარება კურსდამთავრებულთათვის</li> <li>• დამსაქმებლებთან კავშირის გაზრდა მეწარმეობის უნარების განვითარების კუთხით</li> <li>• ტრენინგების ჩატარების უზრუნველყოფა იურიდიულ და საგადასახადო საკითხებთან დაკავშირებით</li> </ul>
<p>4. სასწავლო პროცესის მენეჯმენტის სრულყოფა</p>	<ul style="list-style-type: none"> <li>• მეთოდური მუშაობის აქტივიზაცია</li> <li>• თემატური ჯგუფების შექმნა</li> <li>• განთესვის მაჩვენებლის მინიმუმამდე დაყვანა მიზეზების ანალიზისა და შემდგომი ღონისძიებების დაგეგმვის გზით</li> </ul>
<p>5. სტუდენტთა თვითმმართველობის დანერგვა</p>	<ul style="list-style-type: none"> <li>• სტუდენტთა თვითმმართველობის დებულების შემუშავება</li> <li>• სტუდენტთა თვითმმართველობის ორგანოს არჩევა</li> <li>• სტუდენტთა თვითმმართველობის კოლეჯის მართვაში ჩართულობის</li> </ul>

	<p>გააქტიურება</p> <ul style="list-style-type: none"> <li>სტუდენტური პროექტების განხორციელების წახალისება (სპორტული, კულტურული, შემეცნებითი ღონისძიებების როგორც დაწესებულებაში, ასევე მის ფარგლებს გარეთ)</li> </ul>
6. ბიბლიოთეკის ფონდის სისტემატიური განახლება	<ul style="list-style-type: none"> <li>საგანმანათლებლო პროგრამით (მათ შორის ჩარჩო დოკუმენტის საფუძველზე შექმნილი) გათვალისწინებული ბეჭდური და ელექტრონული ლიტერატურის შეძენა/განახლება</li> <li>სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების მქონე პირთათვის შესაბამისი ტექნიკის შეძენა</li> <li>ელექტრონული ბიბლიოთეკის მუდმივი სრულყოფა</li> </ul>

#### 4.) ეკონომიკური საქმიანობის ორგანიზაცია

ამოცანები	აქტივობები
სასწავლო და სამეწარმეო საქმიანობის გაძლიერება	<ul style="list-style-type: none"> <li>საზოგადოებისთვის ტრენინგ კურსების შეთავაზება შრომის ბაზრის მოთხოვნების გათვალისწინებით</li> <li>სწავლის პროცესში შექმნილი პროდუქციის რეალიზებისათვის საჭირო ღონისძიებების გატარება</li> </ul>

#### 5.) თანამშრომლობის გააქტიურება

ამოცანები	აქტივობები
კოლეჯებთან ურთიერთობის ჩამოყალიბება/გაღრმავება, როგორც ქვეყნის შიგნით, ასევე ქვეყნის გარეთ	<ul style="list-style-type: none"> <li>სხვადასხვა სახის კონკურსებში მონაწილეობა, როგორც ქვეყნის შიგნით, ასევე ქვეყნის გარეთ</li> <li>სტუდენტთა და მასწავლებელთა ურთიერთგაცვლითი ღონისძიებების გატარება</li> </ul>

	<ul style="list-style-type: none"> <li>• მოწინავე ქვეყნების პროფესიულ-საგანმანათლებლო დაწესებულებებთან თანამშრომლობის ორგანიზაცია</li> <li>• ურთიერთობის გაღრმავება სოციალურ პარტნიორებთან და დამსაქმებლებთან</li> <li>• პროფესიული განათლების ინტერნაციონალიზაციის მხარდაჭერა</li> </ul>
--	-------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------

## 7. კოლეჯის განვითარების და საქმიანობის ძლიერი და სუსტი მხარეების ანალიზი

ძლიერი მხარეები	სუსტი მხარეები
თანამედროვე ინფრასტრუქტურა	საერთო საცხოვრებლის არქონა
კოლეჯის მრავალპროფილიანობა	ზოგიერთ სპეციალობაზე კურსდამთავრებულთა დაბალი პროცენტული მაჩვენებელი
გამოცდილი ადამიანური რესურსი	ახალგაზრდა კადრების სიმცირე
გუნდური მუშაობის პრაქტიკა	პედაგოგთა დაბალი ანაზღაურება
დემოკრატიული მენეჯმენტი	პასიურობა თანამშრომელთა მხრიდან
კოლეჯის იმიჯი	დამსაქმებლების ინერტულობა
მოდულიზირებული, შრომის ბაზარზე ორიენტირებული და შესაბამის პროფესიულ სტანდარტებზე დაფუძნებული საგანმანათლებლო პროგრამები	არამოტივირებული პროფესიული სტუდენტები
ინკლუზიური განათლების პროექტის მხარდაჭერა	საზოგადოების ნაკლები ინფორმირებულობა
პროფორინტაციის, კარიერის დაგეგმვის და ხარისხის უზრუნველყოფის სისტემის აქტივიზაცია	კურსდამთავრებულთა ნაკლები უკუკავშირი